

**„ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტ ბეშუმის  
(მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის  
განვითარების გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების  
ანგარიშზე“ რეკომენდაცია**

**ანგარიშის წარმდგენი** - შპს „ნიუ სითი დეველოპმენტ“ (ს/კ: 205249248)

**შემსყიდველი** - აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (ს/კ:245429200)

სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ (შემდგომში - „ცენტრი“), „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და „გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად, მომზადდა „ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტ ბეშუმის (მიმდინარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე“ ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებისკენ მიმართული შემდეგი რეკომენდაციები:

**ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვა:**

დოკუმენტის მიხედვით დადგენილი და დაცული არ არის სანიტარიული დაცვის ზონების მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს კურორტებსა და საკურორტო ადგილებში საწარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს. კურორტის არასწორი განვითარების საფრთხის თავიდან აცილების, კურორტის ფუნქციონალურად დაგეგმვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია, ცენტრალური უბნის განაშენიანების დროს მაქსიმალურად გათვალისწინებულ იქნეს ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის: სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები და თითოეული ზონის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები და შეზღუდვები.

დოკუმენტში არ არის ინფორმაცია ტერიტორიის სანიტარიული ზონირების არსებულ მდგომარეობაზე, სათანადოდ არ არის შესწავლილი არსებული მინერალური წყლების

სამკურნალო თვისებები კურორტის - მიდამოებში აღმოჩენილი მინერალური წყაროების კონდიციის განსაზღვრისათვის, დოკუმენტაციას უნდა დაერთოს შესწავლის ოქმები და ლაბორატორიული კვლევის შედეგები, კერძოდ:

- მინერალური წყლების შემადგენლობა, ხარისხი და სამკურნალო თვისებები; სამკურნალო თვისებების სტანდარტებთან შესაბამისობა და სხვ.
- დაავადებები სისტემების მიხედვით, რომლის დროსაც ნაჩვენებია მინერალური წყლების გამოყენება;
- მინერალური სამკურნალო ტალახის შემადგენლობა, მათი გამოყენების ჩვენებები და სათანადო დასკვნები.

- დოკუმენტში წარმოდგენილი და გაწერილი არ არის ინფორმაცია მინერალური წყლების ბუნებრივი გამოსასვლელების და ბეშუმის სამკურნალო ტალახის საბადოს ინფრასტრუქტურის (ნაგებობები, მოწყობილობები) და მოპოვების/აღების პროცედურები, რაც აუცილებელია ბუნებრივი რესურსების დაბინძურების ან/და განადგურების რისკის განსაზღვრისთვის.

-სანიტარიული დაცვის ზონებში გასატარებელი სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გეგმის მე-8 ცხრილის, I პუნქტის, 1.1 ქვეპუნქტის შემსრულებელთა ჩამონათვალიდან ამოღებულ უნდა იქნეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“ (გვ.92), ამავე ცხრილის I პუნქტის, 1.4 ქვეპუნქტში გათვალისწინებულ უნდა იქნეს, სამედიცინო ობიექტების დაპროექტება/დაგეგმვის საკითხი.

დოკუმენტში მიზანშეწონილია აისახოს ინფრასტრუქტურული მოწყობის ეფექტური და რაციონალური გადაწყვეტები მინერალური წყაროების და ბეშუმის სამკურნალო ტალახის ბუნებრივ გამოსასვლელებიდან სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ობიექტამდე. სამკურნალო რესურსების შესაფასებლად საჭიროა მონიტორინგის გეგმის დამტკიცება, როგორცაა მინერალური წყლის მონიტორინგის გეგმა და სხვა.

### **ჰაერი და კლიმატი.**

ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბნის და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების გეგმების, კურორტ ბეშუმის სანიტარიული დაცვის ზონის დოკუმენტაციის შემუშავების და სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მოწყობის გეგმით (ადეკვატური განხორციელების შემთხვევაში) განსაზღვრულია სატრანსპორტო ემისიების

გარკვეულწილად შემცირება, საკურორტო ტერიტორიაზე მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით მომსახურების განხორციელებით, რაც კარგია და მისასაღმებელია. ვიზიტორი (ტურისტი) საკუთარ ავტომობილს ტოვებს პარკინგისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე და შიდა გადაადგილებები მოხდება მხოლოდ ელექტრომობილებით და ეკოლოგიური სატრანსპორტო საშუალებებით.

გეგმით გათვალისწინებულია გოდერძი-ბეშუმის კლასტერში საცხენოსნო ტურიზმის განვითარება, როგორც სპეციფიკური მარშრუტების მოწყობის, ისე ჰიპოთერაპიის თვალსაზრისით. ამ მიზნით, დაგეგმილია ცხენების თავლის და საცხენოსნო რინგის ტერიტორიის მოწყობა, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებს ტერიტორიის და ჰაერის დაბინძურებას. აქ გასათვალისწინებელია პრევენციული ღონისძიებების გატარება დაბინძურების შესამცირებლად.

დოკუმენტი ასევე უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე, რამდენად გააუარესებს ის ატმოსფერული ჰაერის ხარისხს. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი არ ხორციელდება, რაც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების საშუალებას არ იძლევა, ხოლო საქართველოს ბევრ ტერიტორიაზე ჰაერში ემისიების (CO<sub>2</sub>, NO<sub>2</sub>, SO<sub>2</sub>) დონე ხშირ შემთხვევაში ზღვრულად დასაშვებთან ახლოსაა და ზოგჯერ აჭარბებს კიდევ. საპროექტო ზონაში დამატებით მიმე სამშენებლო ტექნიკის შეყვანის შემდეგ და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას შესაძლოა ზღვარზე მეტად დაბინძურდეს ჰაერი, ამიტომ გათვალისწინებულ უნდა იყოს ამტვერების და ემისიების პერმანენტული მონიტორინგი და შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მაგალითად: სამშენებლო მასალა უნდა გადაიხუროს/დაინამოს, სამშენებლო მოედანი უნდა მოირწყას და მუშები უნდა იყენებდნენ სპეციალურ დამცავ საშუალებებს; უნდა მოხდეს ყველა სატრანსპორტო საშუალების შემოწმება, რათა ავტომობილების გაუმართავი ნაწილების გამო არ მოხდეს გამონაბოლქვის გაზრდა; უნდა მოხდეს სამშენებლო მასალის და დასაწყობებული გროვების გატანა წინასწარ დაგეგმილი მარშრუტებით და ავტომობილის დაბალი სიჩქარით გადაადგილება. მასალების გადატანა უნდა მოხდეს არა პიკის საათებში, უნდა განისაზღვროს საათები სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად და სხვ. ვინაიდან კლიმატის ცვლილება განაპირობებს ექსტრემალური მოვლენების და ბუნებრივი კატასტროფების სიხშირის გაზრდას, დატბორვების თავიდან ასაცილებლად, სამშენებლო პროცესები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო სადრენაჟო სისტემებით.

**ხმაური**

დოკუმენტში აქცენტი კეთდება სამშენებლო და ავტოტრანსპორტით გამოწვეულ ხმაურზე, თუმცა არ არის ჩატარებული შესაბამისი გაზომვები. განაშენიანება ოპტიმალურად უნდა იყოს დაგეგმილი, რათა არ გამოიწვიოს ხმაურის არასასურველი ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობასა და დამსვენებლებზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარდეს კურორტ ბეშუმის ხმაურის გაზომვა, შეფასდეს რისკები და დაიგეგმოს შემცირების ღონისძიებები „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

**დასკვნა**

ზემოთ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტ ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით)-გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საბოლოო შეთანხმება და რეკომენდაციების გაცემა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,  
სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის  
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მ/შ



თამარ გაბუნია